# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 61 ოთხშაბათი, 18 მარტი 1909 წ. № 61

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდამ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10-საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., წლით ზევაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ქვრივი ელისაბედ პეტრეს ასული და ოძლები ელისაბედ და თამარ სარდიონის ასულნი ქაჯაიები, ძმები დავით, ბესარიონ და ანტონ გიორგის ძენი ქაჯაიები, დები მარიამ ლულაძისა, დარია გიორგის ასული, მინადორა ბერიძისა და ოლგა ხუნდაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 20 მარტს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## სარდიონ გიორგის ძის ქაჯაიას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე. (1—159—1)

თებრონე, დომინიკო, ევგენი და დ ათიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორე და მესამე—მამის, ხოლო მეოთხე—სიმამრის მთავარ დიაკვანის

## პავლე თევდორეს ძის ლექავასას.

დაკრძალვა ხუთ. დიდ ჯიხაიშში, სერგეთის ეკლესიის სასაფლაოზედ. (1—155—1)

**ექიმი** ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 20)

## ქ უ თ ა ი ს ი

გიმნაზიის ქუჩა; ბულვარის პირდაპირ, სახლი თუმანოვისა. ტელეფონი № 31.

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

## ს. მ. კირაკოზოვისა და ზ. გ. ოგანოვის

**წვრილ ვაჭრობის განყოფილებაში**

**გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონებისთვის მიღებულ იქნა დიდ ძალი საქონელი—ახალ-მოდებისა და ფორმებისათვის.**

**ქალთა ტანისამოსისა და კასტიუმებისათვის:** ინგლისური მატერიები, ალპაგა, პიკე და კოხტა ფერადი ქსოვილი; საზღვარ-გარეთული, ნაქარგი, აბრეშუმის, შალის, ბატისტის, ტილოს და გაზის ტანისამოსი და ხალათები.

**მამაკაცთა ტანისამოსისათვის:** ინგლისური და რუსული ტრიკო, კასტორი და პიკე.

**სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის:** ფორმის მაუდი, კასტორი, დიაგონალი და სხვა და სხვა მატერია ხაკის ფერისა.

მოსწავლე ვაჟთა და ქალთათვის: ყოველ-გვარი ფორმის მატერია.

აბრეშუმი, ხავერდი, მანჩესტრი, პიკე, ბატისტი, სატინა, კისეია, პარუსინა, ჩინური აბრეშუმის ჩესუჩა, სასადილო, ჩაის და საწოლის თეთრეული, მებელის პლიუში და კრეტონი, დრაპი, ფარდები, შტორები და გარდინის ტიული და აგრეთვე

## მრავალი ახალი რამ:

**ფასები იაფი და შეუვაჭრებელი შაბათობით იყიდება**

## ნაჭრები

**ქუთაისს გარედ** მცხოვრებთ **დაუყოვნებლივ ეგზავნებათ ნიმუშები და შეკვეთილი საქონელი.** (3—კვ.—3)

წარმოდგენა № 7. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 7.

ოთხშაბათს, 18 მარტს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ცნობილი ისტორიული პიესა ალ. ყაზბეგისა.**

## კონსტანტინე ბატონიშვილი

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად «თოვლი», „ჩერჩეტი", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა



ოთხშაბათს, 18 მარტს, **ბენეფისი ცირკის გამგის მ. პ. კუდრიავცევისა.** დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა სამ მოქმედებად. **ცირკი სულ ცოტა ხნით დარჩება ტფილისში.** დებიუტი ახალ არტისტებისა. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10½ საათზე ოთხი საინტერესო **ჭიდაობა;** იჭიდავებენ: 1. **ლურიხი** და **პიერარ ლე-კოლოსი;** 2. ქართული ჭიდაობა—ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** დაეჭიდება მეორე ფალავანს **ქურხულს.** პრემია 25 მ. დაუკრავს ზურნა; 3. **მაისურაძე და კრახუტო;** 4. **შულცი** და **პოსპეშილი.** დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 ნახევ. საათზე.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების** საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს ახლო მომავალში

## სალიტერატურო კრებული.

განზრახულ კრებულში დაიბეჭდება როგორც ბელეტრისტული თხზულებანი, ისე კრიტიკული წერილები და სტატიები ხელოვნების შესახებ. აუწყებს რა ამ გადაწყვეტილებას ქართველ მწერლებს, საბჭო სთხოვს მათ, წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოებნი. (5—4)

## ელექტრო-სტამბა

**მიხეილ დავითის ძის კიკნაძისა**

(წინად „იდეალი„)

## ● ბ ა დ ა ვ ი დ ა ●

ნიკოლოზის ქუჩიდან—ელისაბედის ქუჩაზე, სახლი პრიკაზჩიკოვისა, № 17.

სტამბა ახლად მოეწყო, შეიძინა ახალი შრიფტები, მორთულობანი და ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეს (გარდა ყოველ დღიურ გაზეთებისა) სუფთად და იაფად—რუსულს, ქართულს ფრანგულს და სხვ. ენებზედ. პატივისცემით **მ. კიკნაძე.** (5—1)

მიღებულია

## აბრეშუმის თესლი

ყვითელ ფრანგულ ჯიშისა უმაღლეს თვისებისა.

**ა. დიუმა** მიხეილის პროს.. № 140. ეზოში. (5—ნასყ.—1)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- ვ. **დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
- ბ. **ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
- გ **მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
- ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- ი. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- ვ. **ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

- ა. **გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
- ნ. **გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—15)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი **ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—84)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—103)

**ექიმი** ვ. **ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. **მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—81)

**ექიმი** მ. ნ. **მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—34)

**ექიმი** ა. ნ. **დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**სააღდგომოდ გამოვა**

ახალი ალმანახი

## „ა რ შ ი ყ ი"

დასაბეჭდი მასალა მიიღება 23 მარტამდე შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Типографія „Шрома", В. Квинтрадзе, არშიყისათვის. (2—ნ.—2)

## ტფილისი, 18 მარტი

ბატონ-ყმობის დროს გადასულ ნაშთთა შორის ამიერ-კავკასიაში ერთი უცნაური საკრედიტო დაწესებულება ურევია. ამ საკრედიტო დაწესებულებას კარგად იცნობენ ქართველი თავად-აზნაურნი განსაკუთრებით თელავის და სიღნაღის მაზრებისა. ოფიციალურად ამ დაწესებულებას „ყოფილი პრიკაზი" ჰქვიან და იმის საქმეებს ეხლა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება აწარმოებს.

ჩვენს დროში „პრიკაზი" მართლა მრავალ მხრივ უცნაური დაწესებულებაა. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანებში „პრიკაზი" სამადლო საქმეებისთვის გახსნეს (1815 წელს), მაგრამ შემდეგ (1849 წელს) იგი მთავრობამ ჰიპოტეკურ (საადგილ-მამულო) ბანკად აქცია. იმ დროს მიწა და ყმა ერთისა ეკონომიურ ცნობის ანუ კატეგორიის ორი მხარე იყო. მემამულე ჩვეულებრივ ყმების ბატონიც იყო. მამულს უყმოდ თითქმის არავითარი ფასი არა ჰქონდა, ხოლო ყმას კი უმამულოდ. მამულის დაგირავება უყმოდ უფრო შეუძლებელი იყო, ვიდრე ყმის დაგირავება უმამულოდ. საადგილ-მამულო კრედიტის საფუძვლად ბატონ-ყმობის დროს თანამედროვე სისტემა გირავნობისა გამოუყენებელი იყო. იმისი როლი სწორედ იმ გვარ საკრედიტო სისტემას უნდა აესრულებინა, როგორიც პრიკაზი იყო. ეს სისტემა კი შეიცავს სესხის უზრუნველყოფას ერთსა და იმავე დროს მიწითაც და მიწაზე მცხოვრებ ყმებითაც.

აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ იმ დროს საქართველოს მემამულეებს, ე. ი. თავადებს და აზნაურებს ან არავითარი დოკუმენტები არა ჰქონდათ მიწის საკუთრებისა და ან მხოლოდ ისეთი დოკუმენტება, რომლებშიაც არც ზომა იყო ნაჩვენები წესიერად და არც საზღვრები. ამ გამოურკვევლობის წყალობით, რა თქმა უნდა, გამოურკვეველი ელფერი უნდა ჰქონოდა ყოველგვარ სამოქალაქო ოპერაციას მიწების შესახებ. ასეთ პირობებში ეხლანდელი ტეხნიკა საადგილ-მამულო კრედიტისა სასტიკის განსაზღვრით გირაოდ მიცემულ მიწებისა ბატონ-ყმობის დროს ფეხს ვერ მოიკიდებდა. „პრიკაზი" არც მისდევდა ამგვარ ტეხნიკას. იგი იგირავებდა მიწას და ყმებს ერთად; ამასთან მიწა ყმების რაოდენობით და შრომით განისაზღვრებოდა, ყმები კი დაგირავებულ მამულის მდებარეობით. ვიდრე ბატონ-ყმობა გადავარდებოდა ამ სისტემის შინაგანი ნაკლულევანებანი ნაკლებ სჩანდნენ, შემდეგ კი თან და თან გამოირკვნენ.

ბატონ-ყმობის გაუქმებით „პრიკაზის" კრედიტს თვალ-საჩინო ნაწილი გირაოდ მიღებულ მამულებისა ხელიდან გაუსხლტა, რადგან იგი დროებით-ვალდებულ გლეხთა „ნადელად" იქცა. რამდენისამე წლის შემდეგ დაწყობილმა გამიჯვნამ მემამულეებს თანდათან ისეთი დოკუმენტები ჩაუგდო ხელში, რომლებიც არ შეიცავდნენ არავითარ ნიშანს მიწების დაგირავების შესახებ. ამასთანავე ერთად გაჩნდნენ ახალის ტიპის ბანკები და კერძო მოგირავნეები, რომელთაც ქართველ თავად-აზნაურობის დიდ-ძალი მამულები დაიგირავეს ხელახლა. თავად-აზნაურების თხოვნით უმაღლესად ნაბრძანევი იყო, რომ „პრიკაზის" ვალის გადასახდევინებლად უკიდურესი ღონისძიება არ ეხმარათ ხოლმე; „პრიკაზი" იშვიათად ახდენდა საჯარო ვაჭრობას დაგირავებულ მამულზე გადასახადის შეუტანლობისათვის; თავად-აზნაურობა მიეჩვია გულგრილობას; მას თითქოს სჯეროდა, რომ სულ ერთია „პრიკაზის" ვალში მამული არ გამეყიდებაო, და ამტომ არც ძალიან დარდობდა, რომ ჯარიმა ჯარიმას ემატებოდა და ვალი უზომოდ იზრდებოდა.

ყველა ზემოხსენებულ მიზეზისა გამო „პრიკაზის" საქმეები, ერთის მხრივ, ხოლო იმის მოვალეებისა, მეორეს მხრივ, საოცრად აიწეწ-დაიწეწა. მეოთხმოცე წლებში „პრიკაზი" თითქოს გააუქმეს და იმის საქმეების სალიკვიდაციოდ განსაკუთრებული კომისია და მოხელეების შტატი შეჰქმნეს, მაგრამ გადის წელიწადი წელიწადზე და „პრიკაზი" ნამდვილად არა თუ არ ათავებს თავის მოქმედებას, პირიქით უფრო და უფრო ღრმად იფლობა თავის აწეწილ-დაწეწილ საქმეებში.

ჩვენს დროში, როცა მიწის მობილიზაციამ ქართველ თავად-აზნაურობის მთელი სული და გული დაიპყრო, როცა მთავრობა თავის ნაციონალისტურ პოლიტიკის გასაშლელად საკმაოდ ეხმარება მას მიწების გასყიდვის საქმეში, ხელახლა წარსდგა თავად-აზნაურობის და მთავრობის წინაშე ყოფილ „პრიკაზის" საქმეთა ლიკვიდაციის საკითხი. ეკონომიური მომენტი და აწინდელი კურსი მთავრობის პოლიტიკისა მოითხოვენ, რაც შეიძლება გაადვილდეს მიწების გაყიდვა ქართველ თავად-აზნაურთაგან. ამ მოთხოვნის ხმას მხურვალედ ეკიდებიან მთავრობაც და მემამულენიც. ესაა მიზეზი, რომ ბატონყმობის მრავალ ნაშთთა შორის ყველაზე მძნედ „პრიკაზის" ლიკვიდაციას სჭიდებენ ხელს, როგორც ეს იქიდანა სჩანს, რომ აპრილში ამ საქმისთვის განსაკუთრებული ახალი კომისია დაიწყებს მუშაობას.

რა თქმა უნდა, „პრიკაზი" ჩვენც დრო მოჭმულ დაწესებულებად მიგვაჩნია და სიამოვნებით მივეგებებით იმის სრულს ლიკვიდაციას. ეს არის მხოლოდ, რომ ჩვენის შეხედულებით „პრიკაზთან" ერთად ბატონყმობის კიდევ მრავალი სხვა ნაშთია გასაუქმებელი. „პრიკაზის" ლიკვიდაცია გარკვეულ იურიდიულ ხასიათს მისცემს მემამულეების საადგილმამულო უფლებებს, ხოლო ამაზე უფრო მეტად და არა ნაკლებ არის საჭირო, გარკვეული უფლებრივი ხასიათი მიეცეს ყოფილ ყმების პირადს და ქონებრივს მდგომარეობას.

**ავჭალის აუდიტორიაში**

პარასკევს, 20 მარტს,

სახალხო თეატრის ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ არტისტების **ნ. გაბუნიაცაგარლისა, ლ. ჩერქეზიშვილის** და **კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება.

## „ხ ა თ ა ბ ა ლ ა"

კომედია 4 მოქ. 6 სურ.

მონაწილეობას მიიღებენ. ქ-ნნი ნ. გაბუნია ცაგარელი ლ. ჩერქეზიშვილი, თამარაშვილი; ბ-ნნი კ. ყიფიანი, გოცირიძე ჯაბაური, ანაშვილი.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. (2—უ—1)

**ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.**

## „კოლხიდაში"

იყიდება პარიზიდან გამოწერილი **იონჯა** (провансальская люцерны) **შემოწმებული აბრეშუმის გრენი** საიმედო ფირმებისა **„პასხალიდი"** და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა. საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე **გ. მ. ჩივაძისაგან.** (20—ნ—7)

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სამთო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა.**

16 მარტის სხდომაზე სათათბირომ განიხილა სამთო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა. ორატორები უმთავრესად შეეხნენ მთა-მადნის მუშების მდგომარეობას, ნავთის წარმოებას და სხვას.

**ეგოროვმა** საჭიროდ სცნო რეფორმები სამთო ქარხნებში. ყურადღება უნდა მიექცეს მთა-მადნის მუშების მდგომარეობას. ამ მუშებს ძალზე ავიწროებს ქარხნების ადმინისტრაცია. მინისტრმა სიტყვა მოქვცა, ურალის მრეწველობას მალე ავაყვავებთო. მე ეჭვი მაქვს, რომ ეს შესძლონ. ამისთვის საჭიროა ბატონ-ყმურ ნაშთთა ლიკვიდაცია ურალზეო.

**პურიშკევიჩმა** (მემარჯვენე). რა თქმა უნდა, გაიხსენა რევოლიუცია და მოღალატენი. ორატორი უმთავრესად შეეხო იმ სასწავლებლებს, რომლებიც ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ხელშია. სამთო ინსტიტუტის სათავეში სდგას სტუდენტთა კოალიციური კომიტეტი, რომლის წევრებადაც არიან: ლიბაველი ებრაელი ლიბროვიჩი, ებრაელი ეზერლინგი, ებრაელი საუხატი, ებრაელი მონონი, მონათლული ებრაელი სუკკერმანი და ებრაელი ლარიონოვი. სტუდენტთა დასახმარებელ ფულის საქმეს განაგებს სტუდენტებისაგან შემდგარი საფონდო კომისია. ეს კომისია კი ფულს რევოლიუციას და კერძო საქმეებს ახმარებს. პროფესორები არას ამბობენ. უბედურება ისარის, რომ უმაღლეს სასწავლებლების სათავეში არაკჩეევები კი არა, ფლამარიონები სდგანან. საადმინისტრაციო საქმეებს სწორედ არაკჩეევები უნდა განაგებდნენო. ებრაელ სტუდენტების სწავლის ფულისაგან გან-

თავისუფლება სამთო ინსტიტუტში იმ პროცენტით უნდა მოხდეს, რა პროცენტითაც სხვა სასწავლებლებშია მიღებული.

**მინისტრის ამხანაგმა ოსტროგორსკიმ** ხელად დაამოწმა პურიშკევიჩის სიტყვები: სამთო ინსტიტუტში საქმეები მართლაც კარგად ვერ მიდის, მაგრამ უკვე მივაქციეთ ყურადღება და მალე ყველაფერს გამოვასწორებთო.

**კუზნეცოვი** (ს.-დემ.) მთა-მადნის მუშების ყოფა-მდგომარეობას შეეხო. მთავრობა არა ზრუნავს იმისთვის, რომ მადნის მუშების ცხოვრება უზრუნველ-ჰყოს განსაცდელისაგან. დიდ ძალი მუშა იღუპება მაღაროებში. მთავრობა მფარველობას უწევს მრეწველებს და მუშების მჩაგვრელებს. მთა-მადნის მუშები შველას არ უნდა ელოდნენ არც მთავრობისაგან და არც მესამე სათათბიროსაგან. დეე, მთა-მადნებში დაღუპულ მუშების საფლავებმა ამხილონ მტარვალურ მთავრობის და მესამე სათათბიროს წევრთა სინიდისი. მუშებს-კი უნდა ახსოვდეთ თავიანთ დიდებულ მოძღვრის კარლ მარქსის სიტყვები—მუშების განთავისუფლება მუშებისავე საქმეაო.

**ტიმოშკინმა** მოითხოვა, ნავთის წარმოება „წმინდა რუსულ“ საქმედ უნდა გადავაქციოთო. ეს წარმოება უცხოელების ხელში გადავიდა, „ნობოდელებმა“ კი რუსის მუშები განდევნესო.

ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. სათათბირომ ბოლოს მიიღო აგრეთვე წყალთა და გზა-ტკეცილების სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
17 მარტი

## ბალკანეთი.

**ბელგრადი.** ავსტრიის ელჩმა გრაფმა ფორგაჩმა დილით ინახულა სერბიის მინისტრი მილოვანოვიჩი. გრაფი ფორგაჩი შეეხო ავსტრო-სერბიის სავაჭრო დამოკიდებულების მოწესრიგებას. მილოვანოვიჩმა განაცხადა, ამ საკითხს მინისტრთა საბჭოში შევიტანო.

**სოფია.** ლიაპჩევი მალე სტამბოლს წავა. ლიაპჩევი ოსმალეთის მთავრობას მოელაპარაკება აღმოსავლეთის რკინის გზისა და სხვა საკითხების შესახებ. სტამბოლში მივა აღმოსავლეთის რკინის გზის წარმომადგენელიც.

**ბელგრადი.** გამოაქვეყნეს მეფის მანიფესტი. მანიფესტში ნათქვამია, რადგან მემკვიდრე გიორგიმ ტახტზე უარი განაცხადა, ამიტომ მემკვიდრედ მეორე ვაჟი ალექსანდრე იქნებაო.

სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომლითაც სამოსწავლოდ აღარ გაიწვევენ სათადარიგო ჯარის კაცებს.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. რეიხსტაგის 13 მარტის სხდომას აუარებელი ხალხი დაესწრო. გაისო ყველა ლოჟა. სხდომის დაწყებისთანავე ტრიბუნაზე ავიდა ბიულოვი. იმის სიტყვას დეპუტატები ალტაცებით მიეგებნენ. მან, სხვათა შორის, სთქვა: უსამართლობაა ვინმემ გაგვამტყუნოს, რომ ჩვენ ავსტრო-ჰუნგრეთს გადამეტებით ვუჭერდით მხარს და ამით ჩვენ თავს ხიფათში ვაგდებდით. ჩვენ რომ სხვანაირად მოვქცეულიყავით, მაშინ ავსტრიას დიპლომატიურად დაამარცხებდნენ, რითაც შესუსტდებოდა ჩვენი და ავსტრიის მნიშვნელობა ევროპაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანია—ავსტრიის კავშირი მშვიდობიანობის გარანტიაა. სერბიის საქმეში სიმართლე ავსტრიის მხარეზეა. ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთება ცარცვა-გლეჯა არ არის, ეს ოცდაათის წლის კულტურულ ბრძოლის ნაყოფია. სერბიის პრეტენზიები ომად არა ღირს, მით უმეტეს საერთაშორისო ომად. ევროპა იმდენადაა მშვიდობიანობის დაცვით გამსჭვალული, რომ საერთაშორისო ომი შეუძლებელია. ყველაზე მეტი მადლობა საერთაშორისო ომის აცდენის საქმეში რუსეთის მეფეს და რუსეთის პოლიტიკის მეთაურებს ეთქმითო. ბიულოვის შემდეგ ილაპარაკეს ცენტრის, კონსერვატორების და ნაციონალ-ლიბერალების ლიდერებმა. მათ მოიწონეს ბიულოვის საგარეო პოლიტიკა, უფრო კი ავსტრიასთან მეგობრულ კავშირის დაცვა. ნაციონალ-ლიბერალთა ლიდერმა ბესსერმანმა სთქვა: სერბიის სურვილი, რომ ზღვისკენ გზა გაიკაფოს, სამართლიანიაო. ასეა თუ ისე, უნდა გვიხაროდეს, რომ ბალკანეთზე მშვიდობიანობა მყარდებაო. კონსერვატორების, ლიბერალების და ცენტრის ლიდერები საჭიროდ არა სთვლიან საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას. სოციალისტმა ლედებურმა განაცხადა, რომ ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთება ცუდ დროს გამოაქვეყნაო, ორატორმა სთქვა, მშვიდობიანობის დაცვა სერბიის სოციალ-დემოკრატიას უნდა დავუმადლოთო.

## სპარსეთი

**ბომბეი.** ინგლისის მთავრობის ბრძანებით, სპარსეთის ყურეში სწრაფად გაიგზავნა ორი საკანონირო გემი.

**თეირანი.** რუსების წინაალმდეგ მეშედში ძლიერი არეულობაა. მოჰკლეს რუსეთის ქვეშევრდომი. ასხაბადში 50 თანამოაზრეთი მივიდა ყოფილი კორესპონდენტი პანოვი. მცხოვრებნი პანოვს ალტაცებით მიეგებნენ და მიემხრნენ რევოლიუციონერებს.

**ბერლინი.** საღამოს რეიხსტაგის სხდომაზე ბიულოვმა სხვათა შორის, სთქვა: სპარსეთში ჩვენ მარტო ეკონომიური ინტერესი გვაქვს. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ სპარსეთი დამოუკიდებელი და მთლიანი სახელმწიფო იყოს, რადგან მაშინ ჩვენი ეკონომიური ინტერესები უფრო უზრუნველყოფილი იქნება. ინგლის-რუსეთის შეთანხმებას აზრადა არა აქვს, სპარსეთს დამოუკიდებლობა წაართვას, პირიქით ორივე სახელმწიფო ხელშეკრულობით მოვალეა სპარსეთი დაიცვან ამ მხრივ და ვაჭრობის საქმეში თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარონ. ამის გამო საბუთი არა გვქონდა, ინგლის-რუსეთის შეთანხმების წინაალმდეგ წავსულიყავით. თუ რუსეთი და ინგლისი სპარსეთს სხვებზე მეტს ყურადღებას აქცევენ, ეს იმიტომ, რომ მათი ტერიტორიალური მდებარეობა ასეთია და ისინი უფრო დაინტერებულნი არიან, რომ სპარსეთში მშვიდობიანობა და წეს-რიგი იყოს. ამ რიგად, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს სპარსეთის შესახებ ჩვენი პოლიტიკა შევცვალოთ. მთავრობა შემდეგშიაც ეცდება, ინგლისთან ისეთი კავშირი განამტკიცოს, რომ ამ ერს შორის ადგილი არა ჰქონდეს არავითარ უნდობლობას.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** კოსსოვის ვილაეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა მარშალი კიაზიმ ფაშა.

## საზღვარ-გარედ.

**ხარბინი.** გაზ. „იუან-დუნ-ბაოს“ პეკინიდან სწერენ: ჩინეთის გზათა, სამხედრო, კოლონიების და ფინანსთა მინისტრებმა საერთო სხდომაზე გადასწყვიტეს, დაუყოვნებლივ გაიყვანონ ტრანსმონგოლიის რკინის გზა. რკინის გზას გაიყვანენ მონგოლთა თავადების ხარჯით. რკინის გზის გაყვანის მეთაურობა დაავალეს ორ თავადს. ამ რკინის გზის გაყვანა მონგოლთა თავადებმა ითხოვეს.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ სწერს: გერმანია ვერ დაარღვევს ინგლის-საფრანგეთის ახალ შეთანხმებას, როგორც ვერ დაარღვია ამავე სახელმწიფოების შეთანხმება მაროკოს საქმების გამო. საფრანგეთის და ინგლისის კავშირი უფრო განმტკიცდება, რაც მშვენიერი პასუხი იქნება გერმანიისთვის, რომელიც უოველთვის სცდილობს უთანხმოება ჩამოაგდოს ევროპის სახელმწიფოებს შორისო.

## რუსეთი

**დენკოვი.** მდინარე ტაშანი ადიდდა. ქალაქის ახლო-მახლო ადგილები წყალმა დაფარა. მდინარე თანდათან მატულობს დაბლობ ადგილებში მცხოვრებნი სტოვებენ სახლებს და იხიზნებიან.

**ვარშავა.** ქალაქის ლომბარდში ბოროტმოქმედება აღმოჩნდა; დაინიშნა რევიზია. რევიზორების მოსვლისთანავე მთავარმა კასირმა თავი მოიკლა.

**ლუგანსკი.** საგანგებო საერობო კრებამ დაადგინა, 17 წლის განმავლობაში შემოიღოს მაზრაში საყოველთაო სწავლება. საჭიროა 148 ახალ სკოლის გახსნა, 272 უკვე არსებულ სასწავლებლის გარდა.

**კურსკი.** საგუბერნიო სატუსაღოში სამმა ტუსაღმა, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი, ჩამოჰგლიჯა ციხის ზედამხედველს რევოლვერი და ერთმა თავი მოიკლა, ხოლო მეორემ მძიმედ დაიჭრა თავი.

**ლოძი.** სამხედრო სასამართლომ 12 წლის კატორღა მიუსაჯა მასწავლებელს კამმერს, რომელსაც ჰბრალდებოდა ფაბრიკანტ ციდლერის კანტორაზე შეიარაღებულ თავდასხმაში მონაწილეობის მიღება ბრალდებული ეკუთნოდა პოლონეთის სოციალისტურ პარტიას.

**ხერსონი.** კრივოი როგში მდინარის ადიდების გამო ბრაილოვისა და კაპილოვის მადნები 30 საჟენის სიღრმეზე წყლით აივსო. დაითხოვეს 600 მუშა. წყალდიდობის გამო მუშაობა შეჰრდა ინგულეცკის მადნებში.

# ეროვნულ ქალთა სკოლის საჭიროება

ადამიანებიც პირუტყვებივით არიან: დიდები პატარებსა სჭამენ და პატარები კი იკბინებიან.

**ვოლტერი.**

რა კარგი იქნებოდა მკითხველო, ქვეყანაზედ მალე დაჰქარდეს ის საუკუნო დრო, როცა ადამიანების მიერ ერთმანეთის ჭამა-დაბრიყვება მოისპობა, როცა ურთიერთობა კლასებად და ერებად დაყოფილ საზოგადოებისა ასე მწვავე აღარ იქნება, როცა ადგილი აღარ ექნება გულგრილობას და განკერძოებას იმასდა მიხედვით, რომ შენ ქართველი ხარ და არა რუსი, ან სომეხი და არა ინგლისელი; როცა ყოველ ერთ გვარის წევრი დაფასდება როგორც ადამიანი მხოლოდ მის მიერ მოტანილ სარგებლობა-დამსახურების დაგვარად...

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც უოველდღიურ ცხოვრების დაკვირვება გვეუბნება, ეს ძვირფასი დრო ჯერ ძალიან შორს არის. ამიტომაც როდესაც შენს დასაბეჩავებლად, მოსასპობად იერიში მოაქვთ, უნებლიეთ გებადება სურვილი თავის დაცვისა, სიცოცხლის შენახვისა—ეს ბუნებრივი, თანდაყოლილი გრძნობაა უოველ ცხოველისა, უოველი არსისა, თუ იგი ფიზიკურად ითვალისწინებს თავის უოფას.

აშკარად ვხედავთ, რომ ბევრი მახეა გამოგონილი, იერიშია მიტანილი ჩვენ ეროვნულ არსებობაზედ, მაგრამ, სამაგიეროდ, ვერა ვხედავთ, ანუ ნაკლებად ვხედავთ ეროვნულ არსებობის თვითდაცვის გრძნობას ჩვენში.

ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენებურ ინტელიგენტ და შეძლებულ ოჯახების გადაგვარებაზედ, მათ სიდუხჭირეზედ, ეროვნულ იდეის აბუჩად აგდებაზედ. მართალია, ინტელიგენცია, საზოგადოდ, ერის მცირე ნაწილს შეადგენს და თუ თვით ხალხში, მასსაში, დაცულია ეროვნულ თვითშეგნების სურვილი, მაშინ გადაგვარების ხიფათი არ არის, მაგრამ ჩვენი მდაბიო ხალხი კულტურულად იმდენად ჩამორჩენილია, რომ თავისით არ ძალ-უძს ანგარიში გაუწიოს მასზედ ბნელ ძალების-მიერ მიტანილ იერიშს და ჯერ კიდევ დიდხანს საჭიროებს ხელმძღვანელობას და ზედამხედველს, მისისაძაგ მაგალითს, კულტურის მატარებელ ნაწილის—ინტელიგენციისაგან. მერე, რა არის უმთავრესი მიზეზი ჩვენის თანამემამულე-ინტელიგენციის გადაგვარებისა, თუ არა ის დუხჭირი პირობები, რომელშიაც ჩვენში სწავლა-აღზრდა სწარმოებს?! უეჭველია უწყის, რომ მთავრობის მიერ დაარსებულ სასწავლებლებში როგორ ხელოვნურად და სისტემატიურად იხაგრება და იდევნება უოველგვარი ინიციატივა ეროვნულ თვითშეგნებისა. გადაგვარების პოლიტიკაზედ დამყარებული დამახინჯებული სწავლა-აღზრდა იძლევა, რა თქმა უნდა, მახინჯ-ავე ნაყოფს. აქედან ის პირდაპირი დასკვნა და საანბანო ჭეშმარიტება გამომდინარეობს, რომ ჩვენ აუცილებლად გვსაჭიროებთ ეროვნულ ნიადაგზედ მოწყობილ სკოლას, უმთავრესად გვსაჭიროებთ ასეთ სკოლას ქალთათვის და აი რატომ: ფაქტიურად ოჯახის სულის ჩამდგმელი, სხვათა შორის, ეროვნულ თვითშეგნების მოზიდვის, როგორც ვიცით, დედაა. რომლის მიერ აღიზრდება ოჯახის მოზარდ-თაობის როგორც ფსიხიკის განვითარება, ისე ხასიათისა და ზნე-ჩვეულების შემუშავება. უეჭველია უწყის აგრეთვე, რომ პატარაობიდან, ბავშვობიდანვე, ჩანერგილი და შესისხლხორცებული ზნე-ჩვეულებანი შემდეგ ჰკრავს ბრწყინვალე ადამიანის შემდეგს ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, ჩვენებურ ინტელიგენტურ ოჯახებს ძალიან ნაკლებად ჰყავთ ასეთი აღმზრდელი დედები. ჩვენებური ოჯახები მოკლებულნი არიან შეგნებულად ეროვნულ იდეის მატარებელ ხელმძღვანელს.

აი ამ ნაკლის დასაფარავად და დირსეულ დედების მოსამზადებლად, ტფილისში ქალთა ერთი ჯგუფის მეცადინეობით, დაარსდა ერთად-ერთი ქალთა სკოლა, რომელიც, დამაარსებელთა აზრით, შემდეგში საშუალო სასწავლებლად უნდა გადაკეთებულიყო.

ამ სკოლის ზერელე დათვალიერებამაც-კი დაგვარწმუნა, რომ იქ სწავლა-აღზრდის საქმე ნაყოფიერებით მიმდინარეობს: ხელმძღვანელ-მასწავლებლები არ იშურებენ არც დროს და არც შრომას, რომ პირ-ნათლად გაუძღვნენ ნაკისრს მოვალეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლას ბედმა არგუნა მრავალი გარეგანი დაბრკოლება და გამოუტეველი ისეთი მიზეზებიც, რომ, როგორც გადმოგვცეს, აძრულია საკითხი ამ სიმპატიურ სკოლის სრულიად დახურვისა. სკოლას თავ-შესაფარის მხრივ, ეს ორი-სამი წელიწადია, სტუმართ-მოყვარეობა გაუწია ქართველ ვაჟთა გიმნაზიის შენობამ. მაგრამ ეტყობა ძვირად დაუჯდება ეს სტუმრობა. საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ ქალთა წრის მეცადინეობით ამ რამდენისამე წლის წინად შეიკრიბა სკოლის დასაარსებლად რაღაც 30 ათასამდე მანეთი. ეს ფული თურმე შემოუხარჯავთ გიმნაზიის შენობისთვის და თუმცა ეხლა ეს ქალთა სკოლა მოთავსებულია იმავე გიმნაზიის შენობაში, მაგრამ მაინც მისი შენახვა უოველ წლიურად იძლევა კიდევ ორიოდე ათას მანეთს დეფიციტს, და რადგან თვით ვაჟთა გიმნაზიას დიდი ხარჯი აქვს, ლაპარაკია აძრული ქალთა სკოლის სრულიად თავიდან მოშორებაზე. ამ გვარად, ქალთა სკოლა ორ წყალ შუაა: აღარც თავისი გროში მოეპოება და შენახვაზედაც უარი მოელის.

ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, ასეთ

# ფელეტონი

## ამირანი

პოემა

(დასასრული *)

### ქება მეორე

შავს ღრუბლებს მაღლა,
ოცნების მხარეს,
სხივებით შემკულს
და მოელვარეს
მსუბუქ ეთერის ტახტზე ჰზის ღმერთი,
განრისხებული ბრძანებასა სცემს:
„ძე ადამისა ქედს აღარ მიხრის,
„დაჰვიწყებია დიადი მცნება;
„თავს მეფედა ჰგრძნობს, ყველაფრის
შემძლედ,
„ცოდვილ გზას უკვლევს მტკნარი
ოცნება.
„ერთხელაც არის უნდა მოელოს
„ბოლო დამღუპველ თავხედობასა,
„რომ გულზვიადი ადამიანი
„თვითვე მოვიდეს აზრს და ცნობასა.
„ამირან უნდა დღესვე შეიპყრათ,
„სასჯელსა მისცეთ შეუწყნარებელს;
„მისჯაჭვოთ მაღალ მთისა მწვერვალზე,
„რომ თვის სამშობლოს ტანჯვით
უმზერდეს!“
ანგელოზებმა
თავი დახარეს
და მოახსენეს
წყნარად ბრძანებელს:
„—ქვეყნის მპყრობელო,
„მეფევ ძლიერო!
„გმირსა ამირანს, ადამის შვილსა,
„არავისი აქვს შიში და ძრწოლა;
„ბევრი ვეცადეთ, ვერ შევიპყარით—
„და აღარ ძალგვიძს აწ მასთან ბრძოლა!
„—მაშ სხვა ვინ აღჩნდეს,
„ურჩსა დასცემდეს
„და ღვთისა შიშსა
„მოაგონებდეს“?!
* *
*
დაბლა გაიპო ღრუბელთა გუნდი,
გამოჩნდა ეშმა შავფრთებიანი;
უთხრა მეუფეს მწარე ღიმილით:
„მაგას შესძლებსო ადამიანი!
„თუმცა ჩვენ შორის დიდი ზღვარია,
„თვალ უწვდენელი შავი უფსკრული;
„მაგრამ ისმინე, ცისა მპყრობელო,
„რჩევასა გაძლევს დღეს ბელზეული.
„გვსურს განვაგებდეთ ქვეყნის ბედ-
იღბალს
„და დღეს გვაერთებს ერთი მიზანი:
„შენ სიკეთით და მე ბოროტებით
„დავიმონავოთ ადამიანი!
„ხალხის უგუნურ ნათესავთ შორის
„არ აღმოფხვრილა შური და მტრობა;
„მხოლოდ ადამის უხეში ხელით
„ქვეყნად ედემი კვლავ დაემხობა.
„ვიცნობ დედაბერს. არის
გრძნეული.
„საიდუმლოსა აგიხსნით მრავალს;
„იგი გასწავლით, თუ ვით შეიპყრობთ
„მამულის ერთგულს, გმირსა ამირანს.
ღმერთი დადუმდა,
ღრმა ფიქრს მიეცა.
სმენად გადიქცა
უსაზღვრო ზეცა.
რა პასუხს გასცემს
ავსა ბელზეულს,
ერთხელ წმინდა სულს,
დღეს შეჩვენებულს?
ღმერთმა ასწია სპეტაკი თავი
და სთქვა: „აღსრულდეს უფლისა ნება!
„მისი შეპყრობა თვითვე იკისრე,
„ანგელოზთ გუნდიც მოგეშველება!
„ფრთა შეუკვეცეთ
„გმირსა თავ გასულს;
„ველარ უწევდეს
„ხალხსა სამსახურს!
„მაგრა მიჯაჭვეთ
„კლდეს ამირანი,
„გულს უკორტნიდეს
„ყვავი-ყორანი!..“
*
* *
დაბლა დაეშვნენ
ანგელოზნი და ბელზებელი;
თვალთ გადემალათ
შემკობილი ტურფად სოფელი.
კვნესისა ნაცვლად
გუგუნებდა შვების სიმღერა;
სმენას ატკბობდა
მწყობრ ხმოვანი სიმების ჟღერა!
უწინ დევნილი,
მონად ქმნილი და სევდიანი
დღეს თავისუფლად
ნავარდობდა ადამიანი!
გადაიფრინეს
მთა მაღალი, ტყე დაბურული;
შავად გამოჩნდა
ჩათხრობილი გამოქვაბული.
თურმე აქ სცხოვრობს როკაპი *)
თავზარდამცემი, გრძნეული;
ვერვინ უდგება მას ახლო
მართ ოდენ სული წყეული.
კარი შეაღეს, შევიდნენ,
ნახეს იქ დედაბერია;
ძვლებად ქცეული, გამხდარი,
ჭრელთვალება და ბღვერია!
სახეს ჰფარავდა ბალანი,
ბრჭყალები მეტად გრძელია;
თვით ანგელოზნი გაჰკვირდნენ:
ასე რა საშინელია!..
ბელზეული წარდგა წინა
მოწიწებით მოახსენა:
„მცირე რამ გვაქვს სათხოვარი,
„შენ მოგმართავს მაღლით ზენა.
„ხალხის გულის საიდუმლო
„ერთმა უწყი მარტო შენა;
„ვით შევიპყრათ ამირანი;
„ამეტყველე მწარე ენა.“
დედაბერსა გაეღიმა:
„მოგახსენებთ სიტყვას ერთოსო,
„ურჩ გმირისა შეპყრობითა
„თუ აამებთ მაღლა ღმერთსო.
„ამირანს აქვს ყავარჯენი,
„ხელთ უპყრია, არ იშორებს:
„ხშირად მასზე დაეყრდნობა,
„როს მოივლის ხოლმე სოფლებს.
„ოდეს ებრძვის მრისხანე მტერს,
„დამრღვევთ მყუდრო ცხოვრებისა!,
„ყავარჯნითა გზასა იკვლევს,
„თავს უწყალოდ ატეხს რისხვას!
„ხან მერანის ნაცვლად ხმარობს,
„დაჰკრავს მიწას—გადააფრენს;
„თვით უკვდავი ბუნებისგან
„სიამითა მამულს ალხენს!
„მოგცემთ მატლსა—ალაბეშას, **)
„მიუჩინეთ ყავარჯენსა;
„გადახრულსა დაეყრდნობა
„და უმუხთლებს გმირად მჩენსა.
„დაეცემა ამირანი,
„მისცვივდებით მსწრაფლ შეიპყრობთ;
„გამარჯვებულთ ამასა გთხოვთ:
„მომიგონეთ, მე ნუ დამგმობთ!“

### ქება მესამე.

ცა სჭექს და გრგვინავს, ცა ცეცხლსა აფრქვევს,
მთა ბუმბერაზი ორთის და ზანზარებს;
ზღვა ნაპირს ებრძვის, შავს ტალღებს
ისვრის
ტრიალ მინდორზე გრიგილი დაჰქრის!..
შავ ღრუბელთ შორის გაჰკრა
ელვამა,
მეხმა მრისხანედ დაიგრიალა;
სალს კლდეს დაეცა განმარტოებულს,
ალმა წითლადა აიპრიალა!
ტყენი მაღალნი, ცას ატყორცვნილნი,
თავს დაბლა ჰხრიან, მწარედ ჰგოდებენ;
წყალნი ფერდობზე დაქანებულნი
მწუხარებისა ცრემლსა აფრქვევენ!
დაფრთხნენ ნადირნი, დაკრთნენ
ფრინველნი,
ველი წალეკა ღვარმა ღრიალით;
და ბელზეულმა მწუხარე სოფელს
გადაუარა თავსა სიამით.
*
* *
რისთვის იღვრება
ცრემლად ბუნება?
იქმნებ რამ მოხდა
უბედურება?
კვალად ავსულნი
დანავარდობენ;
და წყეულ-კრულნი
გულით ჰხარობენ!
აგერ დევები,
საით მიჰქრიან?
საზარი ხმები
ვისგან ისმიან?
მოთქმა-ძახილი
კვნესა, ქვითინი,
დაჭრილის გმინვა,
წივილ-კივილი
სმენას აყრუებს,
გრძნობასა ჰზარავს;
მძიმე ჰაერი
ობოლ სულს ჰხუთავს!
ვხედავ მთა და ბარს
სისხლით შეღებილს;
დედა ერთგულ შვილს
მწარედ დასტირის!
აჰა, სოფელი
ცეცხლში პრიალებს;
ხევში დაჭრილი
მსხვერპლი ხრიალებს!
დევებს მთა-ველი
გაუქელიათ;
დიდი-პატარა
არ დაუნდვიათ!
და ბელზეული
ჯოჯოხეთისა
მეფე ყოველი
ბოროტებისა,
ამაყად დაჰქრის,
ავსულთ ამხნევებს,
სოფელს უმზერის
და თან ხარხარებს...
*
* *
სად გაჰქრა გმირი
ამირანი ძლევა მოსილი?
ნუ თუ არ ესმის
საზარელი კვნესა-ტირილი?
ნათელ სამშობლოს
აოხრებენ, აღარ ინდობენ;
განსპეტაკებულს
მშვენებისა ტაძარს ამხობენ!
ვაგლახ! ამირანს
აღარ ძალუძს უშველოს მამულს;
გულ-მკერდს უკორტნის
ყვავ-ყორანი კლდეზე მიჯაჭვულს.
იქვე ციცაბზე
მხიარული სდგას ბელზეული
და დამცირებულს
ნიშსა უგებს გამარჯვებული:
—„აჰა, თავხედო
„მოგელო ბოლო!

*) იხ. „დროება“ N 59.

*) როკაპი—გრძნეული დედაბერი, კუდიანი.

**) ალაბეშა—მატლის სახელია.

სამართლო მოვლენას: მთელ ქალთა ...ოლის შენახვაზედ უარი უნდა სთქვან ...მინ, როცა თავად-აზნაურობას ამ ...რეზედ თავისის ერთი ათად მეტი ...ული უნდება ვყოთ გიმნაზიებში სწავ...ა გათავებულ და უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდების სტიპენდიებზედ. საშუალო სწავლა მიღებული ახალგაზრდა იმდენად მომწიფებულია და მომზადებული, რომ თუ ...მას რაიმე ნიშან-წყალი ატყვია და ...ნარი შესწევს, თვით გაიკვლევს გზას უმაღლესს სასწავლებლისაკენ, ხოლო რამდენიმე სტიპენდიის შემცირებით მთელი ქალთა სკოლა შეინახებოდა და ჩვენ ოჯახებს მრავალი სასარგებლო წევრი შეემატებოდა.

ნუ დაივიწყებთ, რომ ამ სასწავლებელში სწავლობენ უმთავრესად უღარიბეს მშობლების ბავშვები.

ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ...სინი, ვის ხელშიაც ამ სკოლის ბედ...ღბალია, გაითვალისწინებენ ქალთა სკოლის მნიშვნელობას და ასე თუ ისე გამონახავენ წყაროს სკოლის შესანახად.

**გ. ახალციხელი.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **რუსების დასახლება.** რუსების გადმოსახლების საქმის მმართველი და მიწათმოქმედების მთავარ-სამართველოს რწმუნებული ბ-ნი არხიპოვი მუყაითად შეუდგა მუშაობას გადმოსახლების საქმის მოსაწყობად. ბ-ნი არხიპოვი ამ ორი დღის წინად მუღანში წავიდა რუსთა დასასახლებელ ადგილების დასათვალიერებლად. მუღანიდან დაბრუნების შემდეგ ბ-ნი არხიპოვი დაათვალიერებს კავკასიის სხვა ადგილებსაც.

✦ **ლატარია-ალეგრი წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს საზოგადოების სასარგებლოდ წასულ წლებისამებრ წელსაც გამართოს მაისში სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით.

✦ **3 ჩაჩნის მოკვლა და 8 დაჭრა.** თერგის ოლქში, გუდერმესში, როგორც სააგენტო გადმოგვცემს, ჩაჩნებს, იარაღის აყრის დროს, წინააღმდეგობა გაუწევიათ. სამი ჩაჩანი მოუკლავთ და რვა დაუჭრიათ. დაჭრილა აგრეთვე ერთი სალდათი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობა ემზადება, აღდგომის მეორე დღეს 30 მარტს ტფ. საარტისტო საზოგადოების სადგომში გამართოს ბალი უნივერსიტეტის სასარგებლოდ. შესასვლელი ბილეთი ღირება 2 მან. 20 კაპ.

✦ **საისტორიო საზოგადოების კრება.** დღეს, 18 მარტს, საღამოს 8 საათისათვის, თ. ვად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა № 2) დანიშნულია „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც რეფერატებს წაიკითხავს ბ-ნნი: მიხეილ ყიფიანი—ქართულ ზმნების შესახებ და იუსტინე აბულაძე აგრეთვე ქართული გრამატიკიდან. წესდებით გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას.

✦ **შემოწირულება.** წერა-კითხვის საზოგადოებამ 20 თებერვალს ქალთა წრისაგან (თ. ფორაქაშვილისაგან) მიიღო სოფელ კარდანახს (სიღნაღის მაზრა) ქალთა შორის შეკრეფილი ფული ილიას ფონდისათვის—37 მ. 85 კ.

✦ **ქართული წარმოდგენა.** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს საღამოთი ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა ალ. ყაზბეგისა „კონსტანტინე ბატონიშვილი“ (წამება ქეთევან დედოფლისა) ეს პიესა დიდი ხანია არ დაუდგამთ ქართულ სცენაზე. ერთ ხანად იგი აკრძალული იყო.

✦ **ლექციები.** დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი), ვ. ტოტომიანცი წაიკითხავს მეორე ლექციას ქალაქების თვითმართველობაზე. უკანასკნელ, მეხუთე ლექციას ბ ნი ტოტომიანცი წაიკითხავს კვირას, 22 მარტს, ლექტორი შეეხება კოოპერაციებს.

✦ **საღამო.** დღეს, 18 მარტს, საღამოთი ტფ. ქალაქის გამგეობა საარტისტო საზოგადოების დარბაზში გამართავს საღამოს წყლის მილის საქმის მოღვაწეთა კრების წევრთა პატივსაცემად. გარდა წევრებისა მიწვეულ იქნებიან გარეშე სტუმრებიც. სხვათა შორის წარმოადგენენ სამ მოქმედებიან პიესას „დიდებულ გალიოტტას“.

✦ **კახეთის რკინის გზა.** ამ რამდენიმე დღის წინად ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გაუგზავნა მასალა კახეთის რკინის გზის შესახებ და სთხოვა, საზოგადოებას თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხის შესახებ და ეს აზრი ეცნობებინა გზათა სამინისტროს იმ კომისიისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საკითხის განხილვა. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, თანახმად თვის დადგენილებისა, შემდეგი დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგში აღნიშნულ კომისიას: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება თავის მოვალეობადა სთვლის, განუცხადოს კომისიას, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანა კახეთისა და მთელის კუთხისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ამიტომ საზოგადოება იმედოვნებს, რომ კომისია ყოველსავე საშუალებას იხმარს ამ გზის განსახორციელებლად.“

✦ **მეფუტკრეობის კომიტეტი.** ხვალ, 19 მარტს, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება კრება მეფუტკრეებისა და სამეურნეო საზოგადოების წევრებისა მეფუტკრეობის დროებით კამიტეტის ასარჩევად.

✦ **თათბირი საცდელ მინდვრების რეორგანიზაციის შესახებ.** მეურნეობის ინსპექტორმა კავკასიაში ბ-ნ ვასილიევმა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს აცნობა, რომ 18 მარტს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიასთან დაიწყება თათბირი სპეციალისტებისა საცდელ მინდვრების საქმის რეორგანიზაციის შესახებ და თათბირზე თქვენი წარმომადგენლებიც დანიშნეთო. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სამი კაცი დანიშნა—სტ. ნ. ტიმოფეევი, გ. გრ. ალიბეგოვი და სტ. პ. ეირანოვი.

✦ **სეირნობა „განათლების“ სასარგებლოდ.** „განათლების“ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად 24 მაისს გამართოს სახალხო სეირნობა.

✦ **დამპალი თევზი.** 15 მარტს ბოქაულმა დაშკოვმა და უბნის ექიმმა გედალინმა დაათვალიერეს ივანე დათებოვის თევზეულობის მაღაზია და 15 ბოჭკა დამპალი თევზი აღმოაჩინეს. ბოჭკებს ნავთი გადაასხეს და მტკვარში გადაჰყარეს.

✦ მიხეილოვის ქუჩაზე ქურდებმა გასტეხეს მაღაზია ერევნის შტოვრების ასტიკ გასპარიანცისა. ქურდებს კარები შეუმტვრევიათ და როდესაც ეზოში 6000 მანეთიის ნივთები გამოულაგებიათ, მეეზოვეს ხმაურობა აუტეხნია ქურდებს ნივთებისთვის თავი მიუნებებიათ და გაქცეულან, მაგრამ ერთი მაინც დაუჭერიათ. იგი აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქე გიორგი დოსკუზაშვილი.

✦ 16 მარტს პოლიციამ თამამშევის ქარვასლაში დააპატიმრა ჯიბგირი ახალციხელი სანდრო ბეჟანოვი, რომელსაც აღმოაჩნდა მოპარული ფულიანი ქისა. ქისაში სულ 2 მან. 9 კაპ. აღმოჩნდა.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **აფთიაქის განყოფილება.** როგორც მკითხველებმა იციან, გუბერნატორმა ოფიციალურად აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ იგი თანახმაა ქალაქმა გახსნას აფთიაქის განყოფილება ორპირის ქუჩაზე. შემდეგ ამისა, მეაფთიაქეს რელიგიონს, რომელსაც ორპირის ქუჩაზე აქვს აფთიაქი, საჩივარი შეუტანია გუბერნატორთან ასეთ დადგენილების გამო. რელიგიონი უკანონადა სცნობს გუბერნატორის დადგენილებას და სთხოვს, წინადადება მისცეს გამგეობას განყოფილება გახსნას თავისავე აფთიაქის რაიონში, „Нагорный участок“-ში; ხოლო, თუ წყალგაღმა ნაწილშიაც არის საჭირო აფთიაქის საჭიროების გახსნა, ამისი პრივილეგია მისცეს მას. ასეთ საჩივრის გამო გუბერნატორს შეუჩერებია თავისი დადგენილება და წინადადება მიუცია ქალაქის მოურავისათვის—დაუყოვნებლივ წარუდგინოს თავისი მოსაზრებანი საჩივარში მოხსენებულ მუხლების შესახებ.

✦ როგორც სარწმუნოდ გვიგეთ, ი. ზ. გველესიანს საბოლოოდ გადაუწყვეტია, რომ დამის-სათვე სახლის ნაცვლად აგოს შენობა ქალაქის ერთ-ერთი სკოლისათვის. ქალაქის გამგეობამ გაგზავნა ტფილისს მეცხრე საწულისსაყვანო კრებაზე დასასწრებლად ქალაქის ინჟენერი ა. მ. მიხაილოვსკი.

„ჩვენ ხელში არის
„შენი სამშობლო!
„რა მიეც ხალხსა
„საშვილიშვილო,
„მასთან აღზრდილო
„და გამოწრთვნილო!
„ვით აუმხედრდი ძალას შემოქმედს,—
„მის წინ ყველა ირთის და ემონება!
„კაცობრიობას რას განუმზადებს
„ლაღად მფრინავი, ურჩი გონება?!
„რასაც უქადდი ქვეყნად მომაკვდავთ
„ვინ რა იგემა, ანუ რა ნახა!
„ისევ შიმშილი ედემის ნაცვლად...
„კვნესა ოთხკუთხივ... ხა, ხა, ხა, ხა, ხა!
„შენი ერთგულნი,
„აჰა, მოდიან;
„ზარით და მოთქმით
„შემოგტირიან!
„უშველე რამე,
„სულსა ამე!...“

„— ჰოი ამირან!
„მტერთ აგვაოხრეს,
„სახლკარი დასწვეს,
„არ შეგვიბრალეს!
„წმინდა მამული
„სისხლით შეღებეს,
„ერის დიდება
„ფეხქვეშ გასთელეს!
„რა გვეშველება
„ქვრივს და ობლებსა?
„ვინ გვიპატრონებს
„დავრდომილებსა?
„— ქვეყნის ბელზეულს,
„მრისხანეს, წყეულს,
„შვება სიამე
„შთაუნთქავს უფსკრულს!
„ტურფა ბუნება—
„სამშობლო მხარე,
„ერთხელ ბრწყინვალე
„და მოელვარე
„ჩუმად ნაღვლიანს
„სიმღერას მოსთქვამს:
„რა გვეშველება
„ქვრივს და ობლებსა;
„ვინ გვიპატრონებს
„დავრდომილებსა?
„— ვინ აღადგინოს
„ესე სოფელი;
„ვინღა მოგვფინოს
„სხივი ცხოველი?
„ნუ თუ სუმბულმა
„ადრე დამჭკნარმა
„ველარ აკმიოს
„ველსა სურნელი?
„რა გვეშველება
„ქვრივს და ობლებსა?
„ვინ უპატრონებს
„დავრდომილებსა?“

. . . . . . . . . .

„— მე ხალხთანა ვარ და ხალხი— ჩემთან!
„ამაყი სულით, მარად ერთგული;
„მხოლოდ გამყარა უგუნურებამ,
„ტანჯვას განვიცდი კლდეს მიჯაჭვული!
„ხალხმა დაამხო ტურფა ედემი,
„თვისივე სისხლით წალეკა ველი;
„მაგრამ ეს ყველა წარმავალია;
„კვლავ გაბრწყინდება ბნელი სოფელი!
„ოდეს შეიგნებს დიად ძალასა,
„ადამიანი ცად ამაღლდება;
„მისი სახელი, დამცირებული,
„შარავანდედით შეიმოსება!
„იგი იქმნება თავისუფალი,
„მეფე ყოველთა და შემძლებელი;
„ვერას ავნებენ ძველი კერპები:
„თვით ღმერთი იყოს, თუნდ ბელზებელი!..

**ა. შანშიაშვილი.**

# ესპერანტისტების საღამო

კვირას, დრამატიულ კურსების ბინაზე, ტფილისში ერთი არა ჩვეულებრივი საღამო გაიმართა. ესპერანტისტების საღამოზე მოგახსენებთ. „ესპერანტო“ ხელოვნური ენაა, გამოგონებული იმ განზრახვით, რომ გაადვილოს ურთიერთობა სხვა და სხვა ერს შორის. ჩვენს დროში ყველას კარგად ესმის, რა დიდი დაბრკოლებაა ყოველგვარ საქმეში ის გარემოება, რომ სხვა და სხვა ერის წარმომადგენლები თავის საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ და ჩვეულებრივ ერთმანეთისა არაფერი არ ესმით. აზრი, რომ ერთი რომელიმე ენა საქვეყნო და საერთო ენად ქცეულიყო, ძველის-ძველია. ცოტად თუ ბევრად ასეთს საქვეყნო ენის მნიშვნელობა ჰქონდა საშუალო საუკუნოების დროს მეცნიერთა წრეებში ლათინურს; ასეთივე მნიშვნელობა აქვს ბევრად თუ ცოტად ჩვენს დროში დიპლომატებისთვის ფრანგულ ენას. ამგვარივე მნიშვნელობა აქვს მეზღვაურებისთვის ინგლისურს ენას გაშლილ ზღვაში. სავაჭრო ურთიერთობისთვისაც საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ჩვეულებრივ ერთი რომელიმე ენა თითქოს საყოველთაო ენად ჰხდება. ასეთი მნიშვნელობა აქვს ზოგან ინგლისურ, ზოგან გერმანულ და ზოგან ფრანგულ ენას. ეს და მრავალი სხვა ამ გვარი ფაქტი ჰმოწმობს, რომ არსებობს საჭიროება ერთის ისეთის ენისა, რომელიც ადვილად შეისწავლება და ყველგან მიიღება. ხელოვნურად ამ გვარ ენის შექმნისკენ გასულ საუკუნეში რამდენიმე ცდა იყო მიმართული. ერთხანად ვოლაპუკის ხელოვნური ენა სცდილობდა საერთო ენის ადგილის დაჭერას, მაგრამ მეოთხმოცე წლებიდან უფრო მეტი გასავალი და გავრცელება დაეტყო ვარშაველ ექიმის ზამენგოფის მიერ გამოგონებულ ენას „ესპერანტოს“.

ესპერანტოს ენის სიტყვები გამარტივებული ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ლათინური და რუსული სიტყვებია. ამ ენებიდან ისეთი სიტყვებია ესპერანტოს ენაში შეტანილი, რომლებიც უფრო ადვილად შეიძლება დაახსოვდეს კაცს. მეტი ნაწილი სიტყვებისა დასავლეთ ევროპის ენებიდან არის გადატანილი და შედარებით ნაკლები რუსულს ენიდან. გრამატიკა ისე შემოკლებულია, რომ პაწია ბროშურის სამოთხ გვერდზე ეტევა, ამ სიმარტივისა გამო ესპერანტოს ენა ადვილი შესათვისებელია. ჩვეულებრივ ამ ენის შესწავლას სამიდან ექვს თვემდე უნდებიან. ვინც უცხოეთის ენები იცის, ის უფრო ადრეც ხელოვნდება. გამომგონი ესპერანტოს ენისა და იმისი მიმდევარნი ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ხელოვნური ენა დიდს ადგილს დაიჭერს კაცობრიობის ცხოვრებაში და მხნედ მეცადინეობენ იმის გასავრცელებლად აარსებენ საზოგადოებებს და სკოლებს, სთარგმნიან წიგნებს და ჰბეჭდავენ ჟურნალ-გაზეთებს.

ესპერანტოს ენაზე გასულს წელს 87 სხვა და სხვა პერიოდული გამოცემა გამოდიოდა ევროპას, აზიასა, და ამერიკაში. მთელს დედამიწაზე ამ ჟამად 1170 საზოგადოება არსებობს ესპერანტისტების. ესპერანტისტებმა საერთაშორისო კონგრესი გამართეს. რომელზედაც თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს, სხვა თა შორის, სამმა სახელმწიფომ, გერმანიამ, შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ. ესპერანტოს ენაზე ამ ჟამად საკმაოდ მდიდარი ლიტერატურაა ნათარგმნი; სხვათა შორის ამ ენაზე გამოდის რამდენიმე სპეციალური სამეცნიერო ჟურნალი.

ესპერანტისტების ერთი საზოგადოება ტფილისშიაც არსებობს და აი ამ საზოგადოებამ გამართა წარსულ კვირას თავისი საღამო. საზოგადოების წევრებმა ესპერანტოს ენაზე ითამაშეს გოგოლის კომედიის „რევიზორის“ ერთი აქტი, შეასრულეს რამდენიმე სიმღერა და წაიკითხეს ლექსები. საღამოს დიდძალი ხალხი მოაწყდა, მაგრამ უადგილობისა გამო ბევრი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. პირველის შთაბეჭდილებით ესპერანტოს ენა გაცილებით უფრო კეთილხმოვან ჟღერა ჰგავს, ვიდრე ბევრი ბუნებრივი ენა. საზოგადოების წევრები ერთმანეთს თავისუფლად ებაასებოდნენ ამ ხელოვნურ ენაზე, უჩვენებდნენ სტუმრებს ესპერანტოს ენაზე გამოცემულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს. როგორც ეტყობა, უმრავლესობა ტფილელ ესპერანტისტებისა მოსწავლე ახალგაზდობაა, რა თქმა უნდა, ეროვნების განურჩევლად, და საერთო ხელოვნურ ენას მათ შორის უკვე მეგობრობა და სიყვარული განუმტკიცებია. ტფილისში, სადაც მრავალი ერის წარმომადგენელი ირევა ერთმანეთში, ესპერანტოს ენის გამავრცელებელთ კარგი ნიადაგი აქვთ. რა თქმა უნდა, ვერც ესპერანტო და ვერც ერთი სხვა ხელოვნური ენა ვერ გაუწევს მეტოქეობას ბუნებრივ ენებს, მაგრამ ის კი შესაძლებელია, რომ ხელოვნურმა ენამ ოდესმე გაანთავისუფლოს ადამიანი დამახინჯებულ უცხო ენაზე ლაპარაკის საჭიროებისაგან. ესპერანტისტების საღამო საინტერესო იყო სწორედ იმ მხრივ, რომ ჩვენს ენათა შერევის ქალაქში გვიჩვენეს ესპერანტისტებმა, როგორ შეიძლება ძლიერ იქმნას საერთო ენის საჭიროება სხვა და სხვა ერის წარმომადგენელთა ურთიერთობაში.

ესპერანტისტების საღამოს ხალხი ბევრი დაესწრო, მაგრამ დამსწრეთა შორის ქართველები ნაკლებად სჩანდნენ. როგორც ეტყობოდა, თვით ესპერანტისტების საზოგადოების წევრთა შორისაც ქართველები მეტად ცოტანი არიან.

# სპარსეთის ამბები

### საზარელი მკვლელობა.

„რუს. სლოვო“-ს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება 12 მარტის თარიღით: სასულიერო პირების საზარელი მკვლელობა შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩითში ძლიერ აღელვებს თეირანის მცხოვრებთ. ყველაზე მეტად აღშფოთებულია სამღვდელოება; იგი წყევლა-კრულვას უთვლის მთავრობას, რომელმაც შეაგინა ძველი წმიდა ჩვეულება. სპარსეთის ისტორიაში ჯერ არა ყოფილა მაგალითი, რომ ვისმე ბესტის ჩვეულება გაეტეხოს.

ინგლისის და რუსეთის საელჩოებმა 12 მარტს დილით მეტად მკაცრი ნოტა ჩააბარეს სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს და პროტესტი გამოუცხადეს ამ საზიზღარ მკვლელობის გამო, საელჩოები თხოულობენ, რომ ეს საქმე ბეჯითად გამოიძიოს მთავრობამ და ბეჯითი ღონისძიება მიიღოს მკვლელების დასაჭერად. ამას გარდა, საელჩოები თითონაც შეუდგნენ გამოძიებას და პირველსავე დღეს ბევრი საყურადღებო ცნობა მიიღეს. აღმოჩნდა, რომ ამ მკვლელობაში სპარსეთის დიქტატორის ემირ-ჯენგ-ბაგადურის გარდა, მონაწილეობა მიუღია თეირანის ეხლანდელ ვიცე-გუბერნატორს მუფახერუს-მულკს. ის მოსამსახურეები, რომლებიც მოტაცებული ეგონათ, თითონ გაქცეულიყვნენ. ორი მათგანი დაჭრილია. ისინი ამტკიცებენ, რომ მკვლელები იყვნენ ვიცე-გუბერნატორის მცველებიო. ამას გარდა შეიტყეს, რომ წინა ღამეს მკვლელები გამოსულიყვნენ რეაქციონერ მუშტეიდის შეიხ-ფაზლულას სახლიდან და ოთხი ეტლით გამართულიყვნენ შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩითისაკენ. მკვლელების ხროში რეულიყო აგრეთვე შეიხის ერთ-ერთი მოსამსახურეც. იგი თურმე მთელ ღამეს არა ყოფილიყო სახლში და მხოლოდ გარიჟრაჟზე დაბრუნებულიყო შინა.

ენჯუმენებმა დიდ-ძალი პროკლამაცია გამოსცეს ამ მკვლელობის თაობაზე და ხალხს მოუწოდეს,—უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლისთვის შური იძიეთო.

12 მარტს მეჩითი მიპროვა 500 კაცმა, რომ [illegible] შვ, შიში, [illegible]

### საიდან მიიღო შაჰმა ფული.

თეირანელ დიპლომატებს ვერ გაუგიათ, საიდან მიიღო შაჰმა ფული. ეს გარემოება ძლიერ აფიქრებს რუსეთისა და ინგლისის საელჩოებს მით უმეტეს, რომ როგორც ზოგიეთის ცნობიდან სჩანს, რუსეთისა და ინგლისის მოლაპარაკება სპარსეთის სესხზე უკვე თავდება. გერმანიის საელჩო აცხადებს, რომ ჩვენ არ ვიცით, საიდან მიიღო შაჰმა ფულიო. (რ. ს).

### ჯულფას ახლო.

11 მარტს ღამით სუჯა-ნიზამის ვაჟიშვილი ცხენოსნებით დაეცა ჯულფას ახლო სოფელ გერგერს და ალანდარს, რომლებიც რევოლიუციონერებს უჭირავთ. თოფის სროლა რუსის სამფლობელოშიაც ისმოდა. რევოლიუციონერებმა ზარალით უკუაგდეს შაჰის ცხენოსნები და საში მათგანი დაატყვევეს.

### ბრძოლა თავრიზში.

11 და 12 მარტს გამწვავებული ბრძოლა იყო თავრიზს ახლო. ბრძოლის დროს რევოლიუციონერებმა მოჰკლეს შაჰის რაზმის უფროსი ფატიტ-დოულე. ეინ-უდ-დოვლეს ჯარმა, რევოლიუციონერებისაგან შევიწროვებულმა, უკან დაიხია.

### სათარ-ხანის დეპეშა.

სათარ-ხანმა და მეჯლისის დეპუტატად ნამყოფმა მჯერმეტყველმა ტაგიზადემ, რომელიც ამას წინად დაბრუნდა ევროპიდან თავრიზში, დეპეშა გაუგზავნეს რეშტის ენჯუმენს: რაც შეიძლება ჩქარა გაილაშქრეთ თეირანისკენ, მოიწვიეთ უცხოელი ინჟენერი-აფიცრები და სიმაგრეები ააშენეთ, დაამზადეთ საკვები სურსათი, მიიმხრეთ მომთაბარეთა ტომები, რაზმებს სამხედრო საქმე შეასწავლეთ, ჩქარა დაიჭირეთ კაზვინი და შემდეგ თეირანი (კაზვინი უკვე აიღეს რევოლიუციონერებმა). გაუფრთხილდით მშვიდობიან ხალხისა და უცხოელებისა სიცოცხლეს, ქონებას, ვაჭრობას და ფოსტას, ნუ გაერევით უცხო სახელმწიფოს სადამოუნო საქმეში და შეურყევლად ეცადეთ გამარჯვებასო.

### რევოლიუციონერების და შაჰის ძალა.

როგორც რუსულ გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან თეირანიდან, რევოლიუციონერებს ამ ჟამად ჰყავთ 24,000 მებრძოლი, შაჰს 6,900 ჯარისკაცი.

რეშტის ენჯუმენს მიემხრო კიდევ 2,000 ცხენოსანი სანხალიდან.

### ქალაქები აბუშირი და ბენდერ-აბასი.

ამ დღეებში დებეშამ ცნობა მოიტანა, რომ სპარსელმა რევოლიუციონერებმა აიღეს ქალაქები აბუშირი (იგივე ბუშირი) და ბენდერ-აბასიო. ორივე ქალაქი მდებარეობს სპარსეთის ყურის ნაპირზე. თუმცა პირველ ქალაქში მხოლოდ 20 ათასამდე მცხოვრები ითვლება, ხოლო მეორეში—8,000, ეს მაინც უმთავრესი ნავთსადგურებია სპარსეთში. ორსავე ქალაქს დიდი ვაჭრობა აქვს მეტადრე ინგლისთანა და ინდოეთთან. „დეილი ნიუზ“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ რევოლიუციონერებმა ბენდერ-აბასში სამსახურიდან გადააყენეს ადგილობრივი გუბერნატორი და ტამოჟნის უფროსი ბელგიელი და ტამოჟნის მმართველობა თითონ ჩაიგდეს ხელში.

# ბალკანეთი

### გერმანიის მოქმედება.

„ნოვოე ვრემია“-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: დღევანდლამდე დიპლომატებს ეგონათ, რომ გერმანიას არა ჰსურს ომი, რომ იგი ამშვიდებს ავსტრიასო. ეხლა-კი ყველამ გაიგო, რომ გერმანია პირიქით უფრო აქეზებდა ავსტრიას საომრად: ეხლა ყველასთვის ცხადია, რომ გერმანიამ ძლიერ ისარგებლა რუსეთის ეხლანდელ უძლურებით, მთლად დასცა მისი გავლენა ბალკანეთში და მის მაგივრად იქ ავსტრია გაამატონა.

# მოწოდება
## ქუთაისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებებისადმი.

დღევანდელ სოფლის აუტანელი მდგომარეობა, მისი დაბეჩავება და ჩამოქვეითება ეკონომიურად იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიმაჩნია ამ მოწოდებით მივმართო სოფლის საზოგადოებებს, რათა საერთო ძალით და საერთო საშუალებით ვძლიოთ ამ მდგომარეობას.

კეთილ-დღეობა რომლისამე ერისა ყველაზე მეტად მიწის სიმდიდრეს და მის წარმოებაზეა დამოკიდებული; არა ერთი სწავლული გვიმეორებს ამ სიტყვებს. თუ საზოგადოდ ერის კეთილდღეობა მიწის სიმდიდრესა და მიწის წარმოებაზეა დამოკიდებული, მით უმეტეს ჩვენი ქვეყნის კეთილ დღეობაა მიწასა და მის წარმოებაზე დამყარებული. აბა მიმოიხედეთ გარშემო, თუ არ დარწმუნდეთ, რომ მხოლოდ მიწის გონიერი წარმოებაა ჩვენი სულის ჩამდგმელი. მრეწველობა ჩვენში ძლიერ ჩამოქვეითებულია, ფაბრიკები და ქარხნები ჩვენთვის სანატრელია. მაშ ისევ მიწის და იმის გონიერ დამუშავებაშია ჩვენი სვე-ბედი. თუმცა ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდან სასოფლო-მეურნეობის კუთხედ ითვლება, მაგრამ ეს მეურნეობა ჩვენში ბევრად უკან არის ჩამორჩენილი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მართალია, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენს მეურნეობაზე, იგი მეტად აფერხებდა მეურნეობის წინ სვლას; მართალია ისიც, რომ ჩვენი მიწის სიმდიდრე დიდ ხანს აკმაყოფილებდა ჩვენს მცირე მოთხოვნილებას იმ დამუშავებითაც, რაზედაც დღესაც ვერ აგვიღია ხელი, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ჩვენი ასეთი ჩამორჩენა მიწის მუშაობის გაუმჯობესობაში დამოკიდებულია, სხვათა-შორის, ჩვენს გაუნათლებლობაზე. მოთხოვნილება კი სოფლისა მატულობს, მიწის მუდამ ერთ მხრივი დამუშავება-კი აღარიბებს ამავე სოფლის მიწას. ჩვენ ხელს ვერ უწყობთ, რათა დაუბრუნოთ ის ნივთიერებანი, რომელსაც იგი ჰკარგავს ამ ერთ მხრივ დამუშავებით და, რა თქმა უნდა, მოსავალიც თან და თან კლებულობს. ამიტომ საჭიროა სოფლის გამოფხიზლება და მიწის მუშაობის შეცვლა იმდენად მაინც, რომ ეს მიწის შემოსავალი უძლვებოდეს მის მოთხოვნილებას. უამისოდ ჩვენ სოფელს, სულ უკან და უკან მიმავალს, თან და თან ბოლო მოეღება. ჩვენი გლეხი მხნე და მშრომელია. ამას მოწმობს იმ მთა-კლდეების დამუშავება, სადაც ერთ მოსავალს ძლივს ასწრებენ: მიწა ირეცხება და შემდეგისთვის მხოლოდ სალი კლდე-ღა რჩება.

იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს მიწის მუშაობა, საჭიროა ცოდნა და თანხა. სოფელი არც ისე უნუგეშოა, რომ არ მოიძებნებოდეს იქ ერთი-ოროლა სოფლის გულ შემატკივარი მცოდნე კაცი, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევენ მას. რაც შეეხება თანხას, ეს თანხაცა აქვს, თუ კი შეძლებს ამ თანხის გამოყენებას. მე ვამბობ გამოსაკვებ თანხაზე (продовольственный капит.) გამოსაკვები თანხა იმ წესით, რა წესითაც იგი დღეს არსებობს, გამოუსადეგარია სოფლისთვის. ვინც დაახლოვებით იცის ამ გამოსაკვებ თანხის მდგომარეობა, იგი დამეთანხმება, რომ სოფელი ამ თანხით თავის დღეში ვერ ისარგებლებს. ამიტომ საჭიროა, სოფლის საზოგადოებებმა ეს თანხა გადაჰქმნან იმისთანა თანხად, რომ შეეძლოთ მითი სარგებლობა. გამოსაკვებ თანხის ამ წაირად გარდაქმნა ძნელი არ არის. ამ შემთხვევაში შეგვიძლიან მივბაძოთ ტფილისის გუბერნიის გლეხობის მაგალითს. ტფილისის გუბერნიაში გამოსაკვები თანხა არ არსებობს. იმის მაგიერ არის სამეურნეო თანხა (сельскохоз. капиталъ). წლიდბით სოფელს შეუძლიან ამ ფულით შეისყიდოს სახნავი მიწები, ტყეები, დაარსოს სამეურნეო დაწესებულებანი, საზოგადო წისქვილები, გაიყვანოს სარწყავი არხები, იყიდოს კარგი ჯიშის საქონელი, ხეხილი, ვენახი, ყოველ გვარი თესლეულობა, სამეურნეო იარაღი და სხვა; ერთის სიტყვით, ყველაფერი ის, რაც სოფლისთვის საჭიროა. წესდება დამტკიცებულია უმაღლესად 7 ივლის 1904 წ. საჭიროა მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებებმა მიბაძონ ტფილისისას და განაჩენებით დაადგინონ, რომ მათ არა სურთ გამოსაკვები თანხა, ამის ნაცვლად, სურთ დაარსონ სამეურნეო თანხა. თანახმად იმ წესდებისა, რომელიც დამტკიცებულია უმაღლესად ტფ. გუბერნიისათვის 7 ივლის 1904 წ. საჭიროა მხოლოდ, რომ ეს განაჩენები შესდგეს მთელის სოფლის საზოგადოების არა ნაკლებ ორი წილისა. განაჩენები უნდა წარუდგინოთ მომრიგებელ შუამავლებს. ეს უკანასკნელნი თავიანთის აზრით განაჩენებს საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს წარუდგენენ. ერთისა და ორის საზოგადოების თხოვნით, რასაკვირველია, არაფერი გამოვა; საქმე მოეწყობა მაშინ, თუ ქუთაისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათა მეტი წილი მაინც დაადგენს განაჩენებს,

რამდენადაც ვიცი, მთელის გუბერნიის გლეხობას მილიონ ნახევარი აქვს გამოსაკვებ თანხად, ამოდენა ფულით-კი ბევრი რამ კარგი და სასარგებლო გაკეთდება სოფლისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ სოფლის შეგნებული ნაწილი გაავრცელებს თავის საზოგადოებაში ამ აზრს.

**ი. გუნცაძე.**

# წერილი კიევიდან

იარმუკობა.—საეკლესიო კრება და მომავალი პატრიარქი.—ორი დარაჯები.—აკაკისა და ილიას ლექსები მალოროსიულად.—აკაკისა და შევჩენკოს საღამოები.—ქართულ კულტურის მოყვარეთა წრე.

თებერვალში კიევის ცხოვრების მაჯის ცემა უფრო მეტად გაძლიერებულია. ამ თვეში აქ იცის ეგრედ წოდებული „კონტრაქტობა“, რაც იგივე იარმუკობაა. რუსეთის შორეულ ადგილებიდან მოდიან ვაჭრები, მოაქვთ თავიანთი საქონელი, აჩვენებენ ხალხს, აცნობენ, ჰყიდიან, ერთმანეთს კონტრაქტებით ეკვრიან, იწინდავენ მრავალ პურს, შაქარს და სხვას. კიევს ემატება სიცოცხლე, ვაჭრობა. არის ხოლმე ორიოდე ტფილისელი ვაჭარიც, თუმცა ქართველი კი არც ერთი. წელს ამ თვემ როგორღაც დუნედ და უგულოდ გაიარა.

კარგად ეხერხება კიევს სასულიერო წოდებათა კრებები. როგორც დანამდვილებით ამბობენ, ამ წლის ენკენისთვეში გაიმართება აქ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება (სობორი), რომლის რეპეტიციადაც ცნობილი სრულიად რუსეთის მისსიონერთა კრება იყო. საეკლესიო კრების მაღალ ფარდებში კიევი მიჩნეულია უფრო შესაბამად საეკლესიო კრებისათვის. თავმჯდომარედ იქნება უფთილი თავმჯდომარე მისსიონერთა კრებისა, ცნობილი ანტონი, მთავარ-ეპისკოპოსი ვოლინისა, რომელიც მიიღებს სრულიად რუსეთის პატრიარქის ხარისხსაო. საეკლესიო კრება აუცილებელ საქმედ არის მიჩნეული იმ გამოურკვეველ და გაჭირვებულ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, რომელშიაც ამ ჟამად ეკლესია იმყოფება მისსიონერთა კრების დადგენილების მეოხებით, ერთის მხრივ, და 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის წყალობით, მეორეს მხრივ...

ამ დღეებში პოლტავის გუბერნიის ოსს დარაჯთა ერთი ასეული დაითხოვეს. როდესაც მათ უნდა მთავრობისთვის პატრონები ჩაებარებინათ, აღმოჩნდა, რომ ეს სულ ყალბი პატრონები იყო. ერთს ოსს დარაჯს უპოვეს დიდი ყუთი ყალბ პატრონებით, გასატენი იარაღი და ვაგონების ახალი პლომბები, საიდანაც ტყვიას ასხამდნენ. ოსმა აუხსნა, ამით პატრონებს ვაკეთებდი, რომ გამეცვალა სახელმწიფო პატრონებშიო. სად მიჰქონდა სახელმწიფო პატრონები, მან არა სთქვა.

უკრაინულ ენაზედ დაიბეჭდა რამდენიმე ლექსი აკაკისა: „ნატვრა“, „ავადმყოფი“ და სხვა. დაიბეჭდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ლექსი „სატრფოს“: ამ დღეებში დაიბეჭდა კიდევ ქართველ მწერლების სხვა ლექსებიც. უკრაინელ ენაზედ აქამდის სრულებით არ იყო ქართველ მწერლების თარგმნები. ამიტომ სასიამოვნოა „რიდნი კრაი“-ს რედაქციის სურვილი, გააცნოს უკრაინელთ ქართველი მწერლები.

25 თებერვალს ხარკოვის უნივერსიტეტის დარბაზში გაიმართა აკაკის საღამო. რასაკვირველია, უკრაინელებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს. მეორე დღეს ამავე დარბაზში გაიმართა შევჩენკოს საღამო უკრაინელ სტუდენტების მიერ. ხარკოვის ქართველმა სტუდენტებმა მიართვეს წერილი, რომელშიაც აღნიშნეს დიდი მსოფლიო მნიშვნელობა შევჩენკოს პოეზიისა, აკაკისა და შევჩენკოს სულიერი ნათესაობა და ქართველთა და უკრაინელთა პოლიტიკური ერთგვარობა.

ამ დღეებში ქართულ კულტურის მოყვარეთა წრეში სტუდენტმა დ— ძემ წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზედ: „მოკლე ისტორიული განხილვა ქართულ ლიტერატურისა“. რეფერატი საინტერესო იყო. სხვათა შორის ავტორმა ჩვენს მეთვამეტე საუკუნის ლიტერატურაში ჰპოვა სიმბოლიზმისა და მოდერნიზმის ნიმუშები, რამაც დიდი კამათი გამოიწვია. ახალგაზრდა წრე დიდის ინტერესით ეკიდება საქმეს როგორც და სადამდის გასტანს ეს მხნეობა და საქმისადმი ინტერესი, დაგვანახვებს მომავალი.

**გ. ნამორაძე.**

# ექ. ნინოშვილის ძეგლის
## ახალები ფონდი:

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო კალენიკე კვაჰძესაგან—2 მ., ვარლამ ახვლედიანისაგან—2 მ. და ქუთაისიდან მასწავლებელ გეორგაძეს მიერ წაკითხულ ლექციის ფული 38 მანეთი.

ღღემდის მოგროვილი იყო 208 მ.ნ. 50 კ. სულ შესდგა 250 მან. 50 კაპ.

# საზღვარ-გარედ
## შეერთებულ შტატების ეკონომიური ძალა.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ეკონომიური განვითარება ამ უკანასკნელ ათ წლებში მეტად სწრაფად მიდიოდა. მისი მრეწველობა საოცრად გაძლიერდა. შეერთებულ შტატებში ამ ჟამად მოქმედებს 440 ტრესტი (მრეწველთა სინდიკატი, ანუ ამხანაგობა), რომლებშიაც შედის 8,600 ფირმა და საზოგადოება. 7 ტრესტს (შაქრის, თამბაქოს, ნავთის, სპილენძის ტრესტებს და სხვებს) აქვს 10 მილიარდ მარკის (1 მარკა 44 კაპეიკია) თანხა; რკინის გზების 6 მსხვილ ტრესტს აქვს 4 მილიარდის თანხა თითოს; პირპონ მორგანის განთქმულ ფოლადის ტრესტს 5 მილიარდი მარკა აქვს თანხად. ყველა რკინის გზების სამი მეოთხედი 7 კაცის ხელშია, ხოლო შეერთებულ შტატების რკინის გზების სიგძე აღემატება მთელი ევროპის რკინის გზების სიგძეს.

ფოლადის ტრესტის შემოსავალი 1906 წელს უდრიდა 2300 მილიონ მარკას, ხოლო წმინდა მოგება—533 მილიონ მარკას. ამ ტრესტის სამრეწველო დაწესებულებებში—ქარხნებსა, ქვა-ნახშირის მადნებსა, რკინის გზებზე და სხვა—მუშაობს 170,000 მუშა; მათი სამუშაო ქირა 1906 წელს უდრიდა 500 მილიონ მარკას. ამავე ტრესტის კასებში მუდამ არის 200 მილიონი მარკა ნაღდად. ამ ფოლადის მძლავრ ტრესტს ეკუთვნის 1600 სხვა და სხვა სამრეწველო დაწესებულება. ტრესტის უმთავრესი აქციონერი ცნობილი ანდრიუ კარნეჯი ყოველ წელს იღებს მოგებას—80 მილიონ მარკას.

თითქმის ამნაირივე უზარმაზარი ტრესტია როკფელერის ნავთის ტრესტიც. ეს ტრესტი ყოველ წელს ამზადებს 5 მილიონ გალონ კეროსინს. უკანასკნელ 24 წელიწადში ამ ტრესტის წმინდა მოგება უდრიდა 3 მილიარდ მარკას.

შეერთებულ შტატების ეროვნული სიმდიდრე დაფასებულია 115 მილიარდ დოლარად (1 დოლარი—2 მან.) ამ ჯამის 90 პროცენტი ეკუთვნის შტატების მცხოვრებთა ერთს მეასედს. 84,000 სულს აქვს 108 მილიარდი დოლარის შესძლება, 83 მილიონ სულს აქვს მხოლოდ $11^1/_2$ მილიარდის შეძლება, ანუ საშუალოდ 140 დოლარის შეძლება თითოს.

უკანასკნელ ათ წელიწადში შეერთებულ შტატებიდან საზღვარ-გარეთ გაიტანეს 64 მილიარდ მარკის საქონელი (ინგლისიდან ამავე ათ წელიწადში გაიტანეს 62 მილიარდ მარკისა, გერმანიიდან 51 მილიარდისა). ლოკომოტივების ქარხნები ფილადელფიაში ყოველ წელს ამზადებენ 1500 ლოკომოტივს, ესე იგი თითო ლოკომოტივს ყოველ 2 საათში. მინეაპოლისიდან ყოველ წელს იგზავნება საზღვარ-გარედ—15 მილიონი ბუჰკა ხორბალი. შტატებში ყოველ წელს მზადდება 14 მილიონი ცენტნერი ბამბა, 2 ნახევარ მილიარდ მარკად ღირებული. ღ სავლეთ შტატებში ყოველ წელს იკვლება 25 მილიონი ღორი, ხოლო მარტო ერთ ჩიკაგოში—7 მილიონი ღორი.

1881 წლიდან 1890 წლამდე შეერთებულ შტატებში გადასახლებულა ევროპიდან—5,247,000 სული, 1901 წლიდან 1905 წლამდე—3,830,000 სული.

# რუსეთი

✦ **ჩამოხრჩობა.** ამ რამდენიმე ხნის წინად ყაზანის სამხედრო სასამართლომ ვინმე ისაევს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. ისაევის მამამ, უხინათლომ თავის შვილისაგან შემდეგი წერილი მიიღო: „გამარჯვება მკირფასო მამავ! უკანასკნელ სალამს გიძღვნი და გისურვებ ბევრ... ბევრ... ბედნიერებას. მაპატიე, მკირფასო მამავ, რომ ამოდენი ხანი ვერაფერი მოგწერე; იქნებ ჰფიქრობ, რომ სამუდამოდ დაგივიწყე. არა, მკირფასო მამავ, ასეთ დიდ ბრალდებას ნუ დამდებ. რაც ჩვენ ერთმანეთს გავსცდით, ეს ხანა ჩემთვის დაუსრულებელი ტანჯვა იყო. მე მარტო იმ იმედით ვცოცხლობდი, რომ ვნახავდი იმ დროს, როდესაც მენ ჭაღარა თავს ჩემს მკერდზე მიიყრდნობდი და ჩემის ცრემლებით მენს ხულიერ ტანჯვას და ჩემდაუნებურად მენს დაკოდილ გულს გავგურნავდი. მაგრამ იმედი გამიცრუვდა, ოცნება ოცნებადვე დარჩა, 23 იანვარს სასამართლომ ჩამოხრჩობა გადამიწყვიტა... განაჩენი ჯარის უფროს გაუგზავნეს დასამტკიცებლად, მაგრამ იმედი არ არის, რომ ჩამოხრჩობას კატორგად შემიცვლიან. მე კიდევ ერთი თვის სიცოცხლე მაქვს, თუ შეგიძლიან ჩამოდი და მნახე. მისწერე წერილი დედას, და გადაეცი, რომ ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, თავი არ დაგანებოს და ჩემი დაღონებული მამა დაამშვიდოს. გადაჰკოცნე მამა და მიშას. მოიკითხე ყველა ნაცნობი და ნათესავი. მშვიდობით მკირფასო მამავ“. ღარიბი დატაკ, უსინათლო მამას მიუღია თუ არა ეს წერილი, მეზობლებისა ცოტაოდენი ფული, გაუყოლებია თან თავისი პატარა შვილი მიშა და წასულა სარატოვში. აქ მისთვის ურჩევიათ, ჯარის უფროს მიმართეო. «ჩამოახრჩეთ თუ არა? ეკითხებოდა ყველას ბებერი, უსინათლო. «არ ვიცითო», გულცივად უპასუხებდნენ ყველანი. საწყალი მამა ყაზანში გაემგზავრა, მაგრამ იქაც ვერაფერი გაიგო; შემდეგ ისე სარატოვში დაბრუნდა. ოთხი-ხუთი დღე დადიოდა პროკურორთან, სატუსაღოს მღვდელთან, სატუსაღოს ადმინისტრაციასთან. მაგრამ აქაც ვერაფერი გაიგო. ძლივ-ძლივობით მღუვის ცრემლებმა გასტეხეს და უთხრეს... ჩამოვარხრჩეთო. რას მოესწრო ამის შემდეგ მამა, თითონაც გარგად მიჰხვდებით.

✦ **კონფერენცია.** ქალთა უფლების გათანასწორების ლიგას დაუდგენია, მომავალ მოიწვიოს ქალთა კონფერენცია. კონფერენცია შეეხება ქალთა განათლების საკითხს. კონფერენციის პროგრამმა შემდეგია: 1. ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლება; 2. მუშა ქალების სწავლება; 3. პროფესსიონალური განათლება და 4. პედაგოგიური მომზადება ქალებისა. შირველ მასხ აირჩევენ ოთხ კომისიას საკითხის შესამუშავებლად.

✦ **სამართალში მიცემა.** როგორც ვწერდით, ოდესის უნივერსიტეტის პროფ. ზანჩევსკი და კაზანსკი გაასამართლეს, რამაც უნივერსიტეტის პროგრესიულ წრეებში დიდი პროტესტი გამოიწვია. მემარცხენე პროფესსორებმა და სტუდენტებმა დასჯილ პროფესსორებს ადრესი მიართვეს. რუსეთის გაზეთების სიტყვით, ამ პროფესსორებს სამართალში მისცემენ.

✦ **რკინის გზების მაძებარი პოლიცია.** შინაგან საქმეთა მინისტრს გადაუწყვეტია, რკინის გზებისთვის ცალკე მაძებარი და საიდუმლო პოლიციები დაარსოს.

**იყიდება** ხელ მისაცემ პირობებში

ჯანმრთელ ალლეას ახლად აშენებული სამ სართულიანი სახლი ბანკის ვალით. წლიური შემოსავალი 600 მანეთი აქვს.

პირობების გაგება შეიძლება მიხაილოვის ქუჩაზე, № 82, პარკ. **დავით გაბრუაშვილთან.** (3—6.—1)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში [illegible] ქალთა სნეულებით [illegible] 19—[illegible] ს. საღამოთი 6—[illegible] ლევაშოვის ქუჩა, ს. № 29 [illegible] (წლ.—6.—28)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**სამკურნალო**
**გარედან მოსიარულეთათვის ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.**
რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ახპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.
სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—18)

სააქციონერო საზოგადოება
**„გრამოფონი“**
**ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი, 9,**




ნებას აძლევს თავის თავს, მოაგონოს როგორც პატივცემულ მუშტარს, ისე ყველა იმას, ვისაც არა გაუგონია რა მე-XX საუკუნის ახალ გამოგონებაზე—ხმის ამომცემზე, რომ **ყველა ოჯახისთვის კმაყოფილებისა და სიხარულის მომგვრელი არის.**

**გ რ ა მ ო ფ ო ნ ი**

საზოგადოების ფირფიტებით, რომლებზედაც დახატულია საქარხნო ნიშანი
**„მწერალი ანგელოზი“.**




მომავალ დღესასწაულებისა გამო ვურჩევთ ყველას შეიძინოს „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“, როგორც საუკეთესო თანამედროვე საჩუქარი.

აპარატები არის 30 მანეთიდან დაწყებული 100 მან და უფრო ძვირიც: ფირფიტები 75 კაპ.-დან 3 მ ნ. და უფრო ძვირი.

ვურჩევთ ყველას შეიძინოს მთელი კომპლექტები ფირფიტებისა, რომლებშიაც სავსებით არის ასრულებული მთელი ოპერები და ოპერეტები, აგრეთვე ცეკვა, რაიცა შეძლებას აძლევს ყველას თავის ოჯახში მოისმინოს ოპერა ან ოპერეტა ან და საორკესტრო მუსიკაზე გამართოს საცეკვაო საღამო.

**მოგვყავს აქვე ის ნაწარმოებნი, რომლებისაც სრული კომპლექტებია:**

| საოპერეტო | საოპერო: | საცეკვაო: |
|---|---|---|
| „ლ ა მ უ რ ა“ | „ფ ა უ ს ტ ი“ | „შაკონ“ |
| „მხიარული ქვრივი“ | „რუსლან და ლიუდმილა“ | „ჩ ი ნ უ რ ი“ |
| „პრინცესსა დოლარებისა“ | „პიკოვაია დამა“ | „ლეკური“ |
| | „ევგენი ონეგინი“ | ცეკვა „ზეც“ და სხვა. |

არის მრავალი ფირფიტა ადგილობრივ სიმღერებისა, ცალ-მხრივი და ორ-მხრივი.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საქარხნო ნიშანს მხოლოდ ეს ნიშანია იმის მაჩვენებელი, რომ ფირფიტა კარგია და არა ყალბი.

**პრეისკურანტები,** კატალოგები, სიები, აგრეთვე ყველა დაბეჭდილი მასალა რიგდება და იგზავნება უფასოდ.

მსურველს საზოგადოების სადგომში უფასოდ შეუძლიან მოისმინოს ფირფიტის დაკვრა.

**მაღაზიასთან სახელოსნოა. შეკეთება სულ იაფად შეიძლება.**

(10—ხალ.—6)